პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი | № 74 (14070) | პარასკევი, 29 მარტი, 1968 წ. | ფასი 2 კაპ.

მწერალი, ტრიბუნი, ჰუმანისტი

კრემლის ყრილობათა სასახლეში გამართული საზეიმო სხდომა, მიძღვნილი ა. მ. გორკის დაბადების 100 წლისთავისადმი

28 მარტს კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიმართა ა. მ. გორკის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. აქ მოვიდნენ მწერლები და საზოგადო მოღვაწენი, ხელოვნების ოსტატები და პარტიული მუშაკები, დედაქალაქის წარმოების საწარმოთა მოწინავენი და მოსკოვის ოლქის მეურნეობათა საუკეთესო ადამიანები, დედაქალაქში ჩამოსული სტუმრები.

სცენაზეა გორკის დიდი პორტრეტი და თარიღები: 1868–1968.

პრეზიდიუმში შემოდიან ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, ა. ნ. შელეპინი, ვ. ვ. გრიშინი, პ. ნ. დემიჩევი, ი. ვ. კაპიტონოვი, თ. დ. კულაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი,** აგრეთვე სრულიად საკავშირო საიუბილეო კომიტეტის წევრები, რომლებსაც ტაშით მიესალმებიან შეკრებილნი.

საზეიმო სხდომის გახსნამდე, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი **კ. ა. ფედინი** ამბობს:

— გაზაფხულის ამ ნათელ დღეს ჩვენი დედამიწა მწუხარებამ მოიცვა. დაიღუპნენ საბჭოთა კავშირის გმირები მსოფლიოს პირველი კოსმონავტი მფრინავი იური ალექსის-ძე გაგარინი და ინჟინერ-პოლკოვნიკი ვლადიმერ სერგის-ძე სერიოგინი. იური ალექსის ძე გაგარინს სურდა დღეს ჩვენს საზეიმო კრებაზე გამოსვლა. გთხოვთ საბჭოთა სამშობლოს სახელოვანი შვილების ხსოვნას პატივი ვცეთ ფეხზე დგომით.

დარბაზი ფეხზე დგება...

— შესრულდა ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის დაბადების 100 წლისთავი, — თქვა კ. ა. ფედინმა. — დღეს ეს საზეიმო თარიღი ყვავილედვივით ერწყმის სხვა თარიღს: სამოცდახუთმეტი წლის წინათ მწერლის სამშობლოში, ნიჟნი ნოვგოროდში, გაზეთმა „ვოლგარმა“ დაბეჭდა პირველი გამოხმაურება გორკის პირველ მოთხრობაზე. და მაშინ აქ, მშობლიურ ვოლგაზე გამალა ფრთა ახალგაზრდა გორკის სახელმა. აქ აფრინდა, რათა საოცარი სისწრაფით გადაეარა მთა და ბარი და მსოფლიო სახელად გადაქცეულიყო.

ამ სასწაულ სახელს ზღაპრულს უწოდებდნენ. ეს მართლაც ზღაპარი იყო, რადგან ელვასავით მოჰქონდა მწერლის საოცარი ძახილი — მშვენიერი გახდეთ სიცოცხლეო.

გუშინ ჯერ კიდევ სულ უცნობი ხელოვანი ამას მოუწოდებდა ადამიანებს, რომლებსაც არც სიმდიდრე ჰქონდათ და, არც ძალაუფლება, მოუწოდებდა გაუნათლებელ, ზოგჯერ სულ უწიგნურ ხალხს, გაჭრილებით დაბეჩავებულს, შრომით ქანცგაწყვეტილს. მათ ეძახდა მხარი გაშალეთო, უღვიძებდა ადამიანურ სიამაყეს.

დაუჯერებდნენ კი მის ძახილს ისინი, ვინც დაკარგა უკეთესი ბედის იმედი? გორკიმ იცოდა, რასაც ამბობდა: ბავშვობიდანვე დაადგა ცხოვრების მძიმე გზას და ბოლომდე დაცალა სიმწრის ფიალა. მან განიცადა ოცნების ძალა, რომელიც ადამიანის გულში ღვივის მაშინაც კი როცა, ანლია სასოწარკვეთილება. დიდმა მხატვარმა იცოდა ფანტაზიის ძალა. იგი დაუცხრომლად აღამაღლებდა ხალხურ თქმულებებს, ლეგენდებსა და ბილინებს. ხალხს უყვარდა ისინი და ეს არწმუნებდა, გორკის ზღაპარს შეუძლია ადამიანს შთაგონოს არა მარტო სიყვარული, არამედ აგრეთვე რწმენა, რომ შეიძლება ამ ქვეყნად მშვენიერი ცხოვრებაო.

გორკის ამ რწმენით ეშვა ყოველივე ზღაპრული მის წიგნებში, დაიწერა განთქმული სიმღერები—შევარდენზე, ქარიშხალაზე, ბილინების მაგვარად მშფოთვარე ეს სიმღერები აღსავსეა ბრძოლის წყურვილით. მათში იმდენად განზოგადებულია სახეები, რომ თვით გმირი-ფრინველები, რომლებიც მაღლა ცაში აფრინდნენ, ყველამ აღიქვა როგორც სიმბოლო და სიმბოლოდვე დარჩნენ სამუდამოდ.

გორკი გამოვიდა ხალხის წიაღიდან, რომელიც აშინებდა მეშჩანინს, და ფრინველივით გაშალა ფრთა — სწორედ ეს აფრთხობდა ამ მეშჩანინს. აი რატომ იყო, რომ პირველ ხანებში რუსეთსა და მთელ მსოფლიოში უფრო ლაპარაკობდნენ ლეგენდარულ ამბებზე, იმაზე, რომ ვოლგისპირელ ბურლაკთა თუ მტვირთავთა შორის გაჩნდა საოცარი მეზღაპრე.

მაგრამ ნამდვილი სასწაული ის არის, რომ მეოცნებე გორკი ჭეშმარიტი რეალისტია. როცა ზღაპარს ყვებოდა, სულ იმას ფიქრობდა როგორ შეიძლება მისი განხორციელებაო. ეძახდე ადამიანს მშვენიერებისაკენ, თვითონ კი არ იცოდე მისი გზა, განა ეს ეკადრება მხატვარს? ვინ უნდა ააშენოს ახალი სამყარო? უდრტვინველად ვინ დაუთმობს მას ადგილს ძველ სამყაროში? ვინ არის იძულებული დაანგრიოს ძველი? ცხოვრება გონივრულად უპასუხებდა ვინ და როგორ წარმართავს ბრძოლას, რომლისთვისაც ხალხს მოუწოდებდნენ ზღაპრული ფრინველები.

გორკი ახალგაზრდობიდანვე სულ უფრო ახლო და ღრმად ეცნობოდა რევოლუციის ადამიანებს, მათ შორის მომავალ მარქსისტებსაც. მას უსწავლია მუშა ახალგაზრდობის წრეებშიც. ამ ახალგაზრდობისათვის კი ყოველთვის საიდუმლო როდი იყო პარტიული იატაკქვეშეთის გზა. როცა ჭაბუკი გორკი ფეხით წავიდა რუსეთში სამოგზაუროდ, რათა გაეცნო იგი, მაშინ დაადგა ჩვენი ქვეყნის ისტორიულ გზას — რევოლუციონერის გზას.

მაშინ, ორი საუკუნის მიჯნაზე სამყარო მკვეთრად გაიყო მისთვის, აქეთ მეგობრები იყვნენ, იქით მტრები. რეაქციას განუმტკიცდა აზრი, რომ გორკის ნაწარმოებები „საზიანოა“ არსებული წყობილებისათვის. მეფის ხელისუფალნი განუწყვეტლივ დევნიდნენ გორკის მისი საქმიანობისათვის. რა თქმა უნდა, ვერ აიწონების, რამდენი სულიერი ძალა წაართვა მწერალს პოლიციის უბნებში, საპყრობილეებში ყოფნამ, აშკარა და ფარულმა ზედამხედველობამ, სასატიმროებმა თუ შინაპატიმრობამ. მაგრამ ის, რომ ამ დევნამ ვერ გასტეხა გორკის ჯადოსნური კალმის მამაცობა, მოწმობს ჭეშმარიტი პოეტის სულდიდობას.

გორკის ხმის ჩახშობა მარტო რუს რეაქციონერთა მწვავე ამოცანა როდი იყო. 1905-1906 წლების რუსეთის რევოლუციის დროს, რომელსაც ამერიკის შეერთებულ შტატებშიც საკმაოდ გამოეხმაურნენ, აი რას უჩიჩინებდა, მაგალითად, უმაღლესი ოფიციალური წრეების ერთ-ერთი წარმომადგენელი თანამემამულეებს: „როცა გორკის კითხულობს, ამერიკელი ხალხი უნდა მიხვდეს, რომ იგი (გორკი) არც ლიბერალია, არც რეფორმატორი, არამედ წმინდა წყლის რევოლუციონერი“. და შემდეგ, თუმცა წამოიცდება, რომ გორკი უეჭველად ნიჭიერი მწერალი, იქნებ გენიოსიც კი... ამერიკელი კვლავ აფრთხილებს „...მაგრამ, კარგად უნდა შეიგნონ, რომ მისი (გორკის) მიზანი რეფორმა კი არა რევოლუციაა...“

ასეთი გაფრთხილების რამდენი ვარიაცია ყოფილა მრავალი ქვეყნის პრესაში ათწლეულების მანძილზე გორკის სიკვდილამდე და მის შემდეგ. იმით, რომ აშინებდნენ სიტყვით „რევოლუციონერი“, ცდილობდნენ კეთილგანზრახულ ბურჟუათა სამყარო დაეცვათ გორკის ძახილის ცთუნებისაგან. მაგრამ შიში ვერ ჩამოაშორებდა გორკის შრომის სამყაროს, რომელსაც მან უმღერა. წლითიწლობით დასავლეთსა და აღმოსავლეთში უმაგალითოდ იზრდებოდა მისი მკითხველების რიცხვი, რომლებიც შემდეგ მისი მიმდევარნი ხდებოდნენ.

და ისევე როგორც მთელი სიცოცხლის მანძილზე გორკის შთაგონების წყარო იყო პროლეტარიატის განმათავისუფლებელი ბრძოლა, ისევე როგორც მან სამუდამოდ შეუერთა თავისი გენია დიდი ოქტომბრის მძლავრ ენერგიას, ისე რევოლუციაში პოულობდა იგი ძალ-ღონის განუზომელ მარაგს, რათა წინააღმდეგობა გაეწია მისი მტრებისათვის.

გორკი არასოდეს არ შემდრკალა და არასოდეს არ შედრკება. მეოცნებისა და რეალისტის წიგნებს გადავყავართ იმ მშვენიერ მომავალში, სადაც, მისი თქმით გაიმარჯვებენ გონების შემოქმედებითი ძალები და ადამიანის ჯანსაღი სული.

ამ გამარჯვებულ მომავალში, ისევე როგორც დღეს, თქვა დასასრულ კონსტანტინე ფედინმა, მწერალ ალექსი მაქსიმეს ძე გორკის დაბადების 100 წლისთავზე, მისი სახელი ვარსკვლავთ სიმაღლიდან გააცისკროვნებს ჩვენს ცხოვრებას.

კ. ა. ფედინი ამბობს, რომ ა. მ. გორკის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ დღესასწაულობაზე სტუმრები ჩამოვიდნენ ბულგარეთიდან, დიდი ბრიტანეთიდან, უნგრეთიდან, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, ინდოეთიდან, კანადიდან, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკიდან, პაკისტანიდან, პოლონეთიდან, რუმინეთიდან, საფრანგეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, შვეიცარიიდან, იუგოსლავიიდან, იაპონიიდან.

დარბაზი მიესალმება საზღვარგარეთელ სტუმრებს.

გორკის შესახებ სიტყვას ამბობს **ლეონიდ ლეონოვი.**

დღეს, თქვა ლეონიდ ლეონოვმა, მსოფლიოს მოწინავე საზოგადოებრიობა პატივისცემისა და მადლობის მემორიალურ გვირგვინს უძღვნის მაქსიმ გორკის. უეჭველია, რომ ეს არის ჩვენი ქვეყნის უდიდესი ფიქრთა მეუფე და კულტურის მოღვაწე უახლოეს ისტორიულ პერიოდში.

...ჩვენ კარგად გვახსოვს გორკის ყრუ, „ო“-ზე გამახვილებული ბანი, მისი აუცილებელი „აბა, რას იტყვით“ ფრაზის ბოლოს, რომლითაც თითქოს იწვევდა თანამოსაუბრეს ტოლივით ემსჯელა ამა თუ იმ თემაზე; ჩვენ ჯერ კიდევ გვახსოვს მისი ხელის ჩამორთმევა, ვაჟკაცური, პაროლივით მტკიცე... ჩვენს წარმოდგენაში ყოველთვის ისახება მკაცრი, მაღალი, თითქოს დაგროვილი გამოცდილებით ოდნავ წელში მოხრილი ადამიანი, რომელიც სულ სხვა იყო მტერთან და სულ სხვა მეგობართან, რომელიც არაფრისთვის არ დათმობდა თავის პოზიციებს, ხშირად ძველ მეგობრობასაც კი შესწირავდა მათ. მაგრამ იღუმნური სიმკაცრის ეს ელფერი ჩემს მეხსიერებაში ყოველთვის შერბილებულია ალერსიანი გულისხმიერებითა და დიდი ყურადღებით ყოველივე ახლისადმი, რაც უნდა წვრილმანი ყოფილიყო ეს ზოგჯერ, ვინაიდან დიდ ადმოჩენათა მარგალიტი შეუხედავ ნაჭუჭში იფარება ხოლმე.

(დასასრული 80-ე გვ.).

სკკპ ცენტრალური კომიტეტისაგან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1968 წლის 27 მარტს თვითმფრინავით საწვრთნელი ფრენის დროს მომხდარი კატასტროფის შედეგად ტრაგიკულად დაიღუპა მსოფლიოში პირველი დამპყრობი კოსმოსისა, სსრ კავშირის სახელგანთქმული კოსმონავტი მფრინავი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საბჭოთა კავშირის გმირი, პოლკოვნიკი იური ალექსის-ძე გაგარინი.

ამ საავიაციო კატასტროფის დროს დაიღუპა ნაწილის მეთაური, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი, საბჭოთა კავშირის გმირი, ინჟინერ-პოლკოვნიკი ვლადიმერ სერგის-ძე სერიოგინი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა სამძიმარს უცხადებენ დაღუპული ამხანაგების ოჯახებსა და ნათესავებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი | სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

პირველი კოსმონავტი მფრინავი საბჭოთა კავშირის გმირი

იური ალექსის-ძე გაგარინი

1968 წლის 27 მარტს თვითმფრინავით საწვრთნელი ფრენის დროს ტრაგიკულად დაიღუპა სსრ კავშირის პირველი კოსმონავტი მფრინავი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი, საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრი, პოლკოვნიკი იური ალექსის-ძე გაგარინი.

კოსმოსის პირველი დამპყრობის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ერთგული შვილის სიცოცხლე შეწყდა მაშინ, როცა შემოქმედებითი ძალებით იყო აღსავსე.

იური ალექსის-ძე გაგარინი დაიბადა 1934 წლის 9 მარტს სმოლენსკის ოლქის გუატსკის რაიონის სოფელ კლუშინოში კოლმეურნის ოჯახში.

1951 წელს მან წარჩინებით დაამთავრა ქალაქ ლუბერცის სახელოსნო სასწავლებელი და ერთდროულად მუშაობდა ახალგაზრდობის სკოლა, რის შემდეგ გაგზავნეს სარატოვის ინდუსტრიულ ტექნიკუმში, რომელიც აგრეთვე წარმატებით დაამთავრა.

ჭაბუკობიდანვე იური ალექსის-ძე ოცნებობდა გამხდარიყო საბჭოთა ქვეყნის პილოტი. ავიაციის სიყვარულმა იგი ჯერ სარატოვის აეროკლუბში, შემდეგ კი ჩკალოვის მფრინავთა სამხედრო საავიაციო სასწავლებელში მიიყვანა. მან წარმატებით დაამთავრა სასწავლებელი და 1957 წლიდან მსახურობდა ჩრდილოეთის წითელდროშოვანი ფლოტის ავიაგამანადგურებელი ავიაციის ნაწილებში.

როგორც ერთ-ერთი ნიჭიერი და მამაცი მფრინავი—ავიაგამანადგურებელი ი. ა. გაგარინი ჩარიცხეს კოსმონავტთა რაზმში. აქ ყველაზე მეტად გამოვლინდა მისი თვალსაჩინო თვისებები. საზოგადოებრივი მოვალეობის მაღალმა შეგნებამ, უაღრესმა შრომისმოყვარეობამ და სიმტკიცემ, გამბედაობამ და საზრიანობამ საშუალება მისცეს იური ალექსის ძეს მოკლე ვადაში დაუფლებოდა რთულ კოსმოსურ ტექნიკას, წარმატებით შეესრულებინა სპეციალური, საფრენი და სპარაშუტო მომზადების ვრცელი პროგრამა.

სწორედ მას ანდვეს სამშობლომ და პარტიამ კაცობრიობის ისტორიაში პირველი გაფრენა კოსმოსში.

საბჭოთა ადამიანების, მთელი კაცობრიობის მეხსიერებაში სამუდამოდ დარჩება სიტყვები, რომლებიც მან პირველი კოსმოსური სტარტის წინ თქვა: „მინდა ეს პირველი კოსმოსური ფრენა მივუძღვნა კომუნიზმის ადამიანებს — იმ საზოგადოების ადამიანებს, რომელშიც უკვე შედგა ჩვენი საბჭოთა ხალხი და რომელშიც, დარწმუნებული ვარ, შევა დედამიწაზე მცხოვრები ყველა ადამიანი“.

1961 წლის 12 აპრილს მსოფლიოში პირველად საბჭოთა კავშირის მოქალაქემ ი. ა. გაგარინმა კოსმოსურ ხომალდ „ვოსტოკით“ შემოუფრინა დედამიწას და მშვიდობით დაბრუნდა ჩვენი სამშობლოს წმიდათაწმიდა მიწა-წყალზე. ეს იყო ადამიანის უმაგალითო გამარჯვება ბუნების ძალებზე, მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდესი მონაპოვარი, ადამიანის გონების გამარჯვება.

ი. ა. გაგარინის დიდი გმირობა ჯეროვნად შეაფასეს საბჭოთა ხალხმა და მთელი მსოფლიოს ხალხებმა. მას მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება და გადაეცა ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“. მას მიენიჭა აგრეთვე საზღვარგარეთის ბევრი სახელმწიფოს უმაღლესი ჯილდოები.

როგორც კოსმონავტი მფრინავი ი. ა. გაგარინი განუწყვეტლივ სრულყოფდა თავის ოსტატობას, დაუცხრომლად და მგზნებარედ იკვლევდა ყოველივე ახალს საავიაციო და კოსმოსურ ტექნიკაში. იგი უშუალოდ და აქტიურად მონაწილეობდა კოსმონავტთა ეკიპაჟების წვრთნასა და ვარჯიშში, კოსმოსური ხომალდების ფრენის ხელმძღვანელობაში, უნარიანად უზიარებდა გამოცდილებას ამხანაგებს, რითაც სიყვარული და უდიდესი პატივისცემა დაიმსახურა კოსმონავტთა ოჯახში. 1968 წელს მან წარჩინებით დაამთავრა ჟუკოვსკის სახელობის სამხედრო-საჰაერო საინჟინრო აკადემია.

ი. ა. გაგარინი ეწეოდა დიდ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობას, იყო მგზნებარე პროპაგანდისტი, ხვდებოდა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ასეულობით ადამიანს და ყველგან ამბობდა სიმართლეს ჩვენს დიად სამშობლოზე, საბჭოთა ხალხის მიღწევებზე კოსმოსის ათვისების საქმეში.

ყველა, ვინც ი. ა. გაგარინს იცნობდა, სამუდამოდ გულში შეინახავს ამ შესანიშნავ, გულითადი ადამიანის, ყურადღებიანი ამხანაგისა და კარგი მეოჯახის ხსოვნას. მას ახასიათებდა მაღალი პარტიულობა, დისციპლინირებულობა, მზედრული მოვალეობის უზადო შესრულება.

იური ალექსის-ძე გაგარინის ტრაგიკული დაღუპვა ძალიან ატკენს გულს ჩვენი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს მილიონობით და მილიონობით ადამიანს.

საბჭოთა ხალხის გამოჩენილი შვილის, მსოფლიოში პირველი კოსმოსის დამპყრობის, შესანიშნავი კომუნისტის, მებრძოლი მეგობრისა და ამხანაგის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულში.

მისი ნათელი ცხოვრება ყველა საბჭოთა ადამიანისათვის არის სამშობლოს თავდადებული სამსახურის, გმირობისა და მამაცობის მაგალითი, მოუწოდებს მათ ახალი საქმეებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

ლ. ბრეჟნევი, გ. ვორონოვი, ა. კირილენკო, ა. კოსიგინი, კ. მაზუროვი, ა. პელშე, ნ. პოდგორნი, დ. პოლიანსკი, მ. სუსლოვი, ა. შელეპინი, პ. შელესტი, ი. ანდროპოვი, ვ. გრიშინი, პ. დემიჩევი, დ. კუნაევი, პ. მაშეროვი, ვ. მჟავანაძე, შ. რაშიდოვი, დ. უსტინოვი, ვ. შჩერბიცკი, ი. კაპიტონოვი, თ. კულაკოვი, ბ. პონომარიოვი, მ. სოლომენცევი, ნ. ბაიბაკოვი, ბ. დიმშიცი, ნ. ეფრემოვი, ვ. კირილინი, მ. ლესეჩკო, ვ. ნოვიკოვი, ი. ნოვიკოვი, ლ. სმირნოვი, ნ. ტიხონოვი, ა. გრეჩკო, მ. კელდიში, პ. დემენტიევი, ი. იაკუბოვსკი, მ. ზახაროვი, ა. ეპიშევი, ს. სოკოლოვი, კ. ვერშინინი, ნ. სავინკინი, ვ. კონოტოპი, ს. რუდენკო, ი. მოროზი, ნ. კამანინი, ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვა, ბ. ტიტოვი, ა. ნიკოლაევი, პ. პოპოვიჩი, ვ. ბიკოვსკი, კ. ფეოქტისტოვი, ბ. ეგოროვი, პ. ბელიაევი, ა. ლეონოვი.

საბჭოთა კავშირის გმირი ინჟინერ-პოლკოვნიკი

ვლადიმერ სერგის-ძე სერიოგინი

სსრ კავშირის კოსმონავტ მფრინავ ი. ა. გაგარინთან ერთად თვითმფრინავით საწვრთნელი ფრენის დროს საავიაციო კატასტროფაში ტრაგიკულად დაიღუპა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი, საბჭოთა კავშირის გმირი, ინჟინერ-პოლკოვნიკი ვლადიმერ სერგის-ძე სერიოგინი.

წავიდა ჩვენგან ერთ-ერთი შესანიშნავი საბჭოთა მფრინავი. მთელი მისი ცხოვრება მიეძღვნა ჩვენი სამშობლოს სამსახურს, მისი შეიარაღებული ძალების განმტკიცების საქმეს.

ვ. ს. სერიოგინი დაიბადა მოსკოვში 1922 წელს. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1940 წელს იგი მოხალისედ შედის საბჭოთა არმიის რიგებში და მიემგზავრება ტამბოვის პილოტთა სამხედრო საავიაციო სკოლაში. 1943 წლიდან ვ. ს. სერიოგინი დიდი სამამულო ომის ფრონტებზეა. მოიერიშე მფრინავმა ბრძოლებში თავი გამოიჩინა, როგორც მოხერხებულმა, მამაცმა და გულადმა მეომარმა. საბრძოლო დავალებების სანიმუშოდ შესრულებისათვის სერიოგინს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება.

ომის შემდეგ ვ. ს. სერიოგინმა დაამთავრა უუკოვსკის სახელობის სამხედრო-საჰაერო საინჟინრო აკადემია. 1958 წლიდან ვლადიმერ სერგის-ძე მუშაობს გამომცდელ მფრინავად. ამ წლების მანძილზე მან შეასრულა პასუხსაგები გამოცდების სერია. თავი გამოიჩინა გამოცდილ მფრინავად და საქმის მცოდნე ინჟინრად. ამ ბოლო დროს ვ. ს. სერიოგინი მეთაურობდა საავიაციო ნაწილს. მთელ თავის ცოდნასა და მდიდარ გამოცდილებას, მთელ თავის მგზნებარებას ახმარდა საყვარელ საქმეს, იყო ფრთოსანი ახალგაზრდობის საუკეთესო მასწავლებელი. ვლადიმერ სერიოგინი გამოირჩეოდა იმით, რომ ყოველთვის ესწრაფოდა ცოდნას, ახალს, ჯერ კიდევ გამოუცნობს. მას ახასიათებდა სიმტკიცე და მიზანდასახულობა მუშაობაში. საქმის ინტერესებს, ხალხის ინტერესებს იგი ყოველთვის ყველაზე მაღლა აყენებდა. ვ. ს. სერიოგინი აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, სარგებლობდა მთელი პირადი შემადგენლობის დიდი პატივისცემითა და სიყვარულით.

სამშობლომ დიდად დააფასა მისი დამსახურება: იგი დაჯილდოებული იყო საბჭოთა კავშირის რვა ორდენითა და ბევრი მედლით.

სახელოვანი საბჭოთა შევარდენის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ერთგული შვილის ვლადიმერ სერგის-ძე სერიოგინის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულში.

ლ. ბრეჟნევი, გ. ვორონოვი, ა. კირილენკო, ა. კოსიგინი, კ. მაზუროვი, ა. პელშე, ნ. პოდგორნი, დ. პოლიანსკი, მ. სუსლოვი, ა. შელეპინი, პ. შელესტი, ი. ანდროპოვი, ვ. გრიშინი, პ. დემიჩევი, დ. კუნაევი, პ. მაშეროვი, ვ. მჟავანაძე, შ. რაშიდოვი, დ. უსტინოვი, ვ. შჩერბიცკი, ი. კაპიტონოვი, თ. კულაკოვი, ბ. პონომარიოვი, მ. სოლომენცევი, ნ. ბაიბაკოვი, ბ. დიმშიცი, მ. ეფრემოვი, ვ. კირილინი, მ. ლესეჩკო, ვ. ნოვიკოვი, ი. ნოვიკოვი, ლ. სმირნოვი, ნ. ტიხონოვი, ა. გრეჩკო, მ. კელდიში, პ. დემენტიევი, ი. იაკუბოვსკი, მ. ზახაროვი, ა. ეპიშევი, ს. სოკოლოვი, კ. ვერშინინი, ნ. სავინკინი, ვ. კონოტოპი, ს. რუდენკო, ი. მოროზი, ნ. კამანინი, ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვა, ბ. ტიტოვი, ა. ნიკოლაევი, პ. პოპოვიჩი, ვ. ბიკოვსკი, კ. ფეოქტისტოვი, ბ. ეგოროვი, პ. ბელიაევი, ა. ლეონოვი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინეს:

1. სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის, საბჭოთა კავშირის გმირის, პოლკოვნიკ ი. ა. გაგარინისა და საბჭოთა კავშირის გმირის, ინჟინერ-პოლკოვნიკ ვ. ს. სერიოგინის დაკრძალვის მოსაწყობად შეიქმნას მთავრობის კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხანაგები ა. პ. კირილენკო (თავმჯდომარე), დ. ს. პოლიანსკი, დ. თ. უსტინოვი, ვ. ვ. გრიშინი, ი. ი. იაკუბოვსკი, ა. ა. ეპიშევი, კ. ა. ვერშინინი, მ. ვ. კელდიში, ა. გ. ნიკოლაევი, მ. ს. სმირტიუკოვი.

2. ი. ა. გაგარინი და ვ. ს. სერიოგინი დაკრძალულ იქნან წითელ მოედანზე კრემლის კედელთან.

მწერალი, ჭრიბუნი, ჰუმანისტი

(დასასრული)

ყოველთვის მაოცებდა, რა ბევრი და ათასნაირი რამ იყო გორკში. უწინარეს ყოვლისა თვალში გეცემოდათ სწორედ ეს ხარბი გორკისეული ძიება რაღაც განსაკუთრებულისა ადამიანში, იმის იმედი, რომ ეს რაღაც შემდეგ განვითარდებოდა — ჯერ ფორმულით ჩამოუყალიბებელი გაბედული მეცნიერული იდეა იქნებოდა ეს თუ ჯერ კიდევ გაუფურჩქვნელი ახალგაზრდა ნიჭი. ვინც გორკის შეხვედრია, ალბათ ახსოვს მისი უსაზღვრო სიხარული, როცა ასეთ რაიმეს აღმოაჩენდა, თითქოს მასაც ამდიდრებდა ყოველივე ეს. მართლაც, ყოველი ასეთი წარმატება ამრავლებდა მის თანამოაზრეთა, თანამებრძოლთა ლაშქარს, განუწყვეტელ ბრძოლაში რაღაც გენერალურისთვის, საკუთარ მხრებზე შემოწმებულისთვის და ამ ქვეყნად ყველაზე წმიდათა წმიდისათვის, რასაც ერთგულება შეჰფიცა, როცა შეგნებულ ცხოვრებას იწყებდა. კაცმა რომ თქვას, თვითონაც ყოველ წუთს მზად იყო ხელჩართული ბრძოლა გაემართა **აი, სწორედ ამისთვის...** ამიტომ ხომ არ არის, რომ ჩემს წარმოდგენაში იგი ყოველთვის აღსავსეა განსაკუთრებული, ათლეტური აღნაგობით, რომელსაც უფრთ აძლიერებს გრძელი, დაძაღლვული ხელები, თითქმის ისეთი, მუშტიკრივის მებრძოლთ რომ ჰქონდათ, ჩემს ბავშვობაში.

ნურავის ნუ შეაცბუნებს ეს ოდნავ მოულოდნელი შედარება: სიმართლე გაცილებით უფრო დამაჯერებელი, უფრო ლამაზია, როცა მას ახლავს ფიზიკური უპირატესობა, რომელსაც შეუძლია თავის დაცვა!

უაზრობად მეჩვენება ჩემთვის განკუთვნილი დრო დავხარჯო გორკის საყოველთაოდ ცნობილ ნაწარმოებთა ჩამოსათვლელად, — გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ყველა ეს ნაწარმოები ერთ გასაღებშია დაწერილი. იმ შორეულ წლებში უკვე მწიფდებოდა მთელი ცხოვრების გენერალური გადახვნის დიადი გეგმა, ამასთან, სწორედ გორკიმ თითქოსდა იკისრა მომავლის კადრების მომზადება. მომავალი, მაშინ ასე ფიქრობდნენ: ეს არის პოეტური და მრისხანე, სოციალური მიზანშეწონილობის ლოგიკით გაპირობებული, მთელი რიცხვებითა და ქიმიურად წმინდა ელემენტებით, ყოველნაირი ცხოვრების თანმხლები ჭუჭყისაგან თითქმის სტერილურ ვითარებაში აშენებული, სადაც არ იქნება სტატისტიკური გადახრები... ერთი სიტყვით, ისეთი, როგორიც იყო ყველა უკეთილშობილესი ოცნება „მართალ ცხოვრებაზე“.

ამრიგად, გორკის მოღვაწეობა საფუძველს გვაძლევს ვუწოდოთ მას არა მარტო ჰუმანისტური სიახლის მაუწყებელი, არამედ ადამიანთა უფრო ხარისხიანი რჩეული სათესლე მასალის სელექციონერი, რომელიც ხელახლა უნდა დაითესოს ჩვენს პლანეტაზე იმის ნაცვლად, რომელიც ახლა, ჯერ-ჯერობით სარეველასთან ერთად იზრდება კაცობრიობის მწუხარე ყანაში. განსაკუთრებული თვისებები — მტკიცე ნებისყოფა და მიზანდასახულობა, მგზნებარე რწმენა და ზნეობრივი ძალაა საჭირო ასეთი უმაღლესი თანამდებობისათვის დედამიწაზე. უნდა გწამდეს ადამიანი, როგორც სამყაროს მთავარი ღირძი, რომლის გარშემო ტრიალებს ყოველივე დანარჩენი, მეორეხარისხოვანი — მათ შორის ციური მნათობები, რომლებიც მხოლოდ იმისთვის არიან გაჩენილი, რომ გამოიყენოს ადამიანმა, რადგან მხოლოდ ადამიანს ძალუძს გამოჰყოს დიდხანს ნაძებნი აზრი და სილამაზე ამ გაცოფებულ, ბზრიალასავით დატრიალებულ ქაოსში. ადამიანი, ნამდვილი ადამიანი იყო გორკის რელიგია, — და სწორედ ამ ადამიანის რწმენამ მოუპოვა მას ასეთი ავტორიტეტი უმცროს თანამედროვეთა შორის და აბსოლუტური უფროსობა საზღვარგარეთელ ჰუმანისტთა ოჯახში.

ლ. მ. ლეონოვმა დამსწრეთ უამბო, თუ როგორ შეხვდა გორკის 1931 წელს იტალიაში და მოიგონა დიდი მწერლის აზრი სიტყვაზე, როგორც მასალაზე, რომლითაც მზადდება „ჰუმანისტური ციალი“, დეკაბრისტებზე, რევოლუციურ დემოკრატებზე, კარის დრამატურგ ნესტორ კუკოლნიკზე;

— ჩემს გვერდით იდგა, — თქვა ლ. ლეონოვმა, — ადამიანის ძირითად ღირსებათა აღიარებული არბიტრი და ორი მოიერიშე თაობის მეთაური, — მასწავლებელი, რომლის დანიშნულება იყო ჩამოეყალიბებინა საუკუნის მოქალაქეობრივი ცნებანი და დაემხო მონარქები. ადამიანი, რომელიც ვარგოდა იმისთვის, რომ თუნდაც ხვალ დაგეყენებინათ დედამიწის თავმჯდომარედ, მხარბეჭიანი ათლეტი მოუსვენარ წოვგოროდელთა ჯიმისა, ოლონდ ნიჭნი ნოვგოროდში დაბადებული. ადამიანი, რომელიც შვა ვოლგისპირელთა პლეადამ, რომელიც ჩვენი ისტორიის აზვირთებულმა მდინარემ ლენინთან ერთად გამოიყვანა მსოფლიო ასპარეზზე.

მეპატიება თუ მადლიერების გრძნობა რამდენადმე მაზვიადებინებს ამ პორტრეტს. პირველ ხანებში სანამ ღვარძლიანი ხალხი ჩაერეოდა, მეც განვიცადე გორკის მეგობრობის შთამაგონებელი ჯადოსნური ძალა. თუ ამას დავუმატებთ საყოველთაოდ ცნობილ წერილებსა და მასთან პირისპირ საუბარს — ეს ნამდვილად მიდასის ძალა იყო. იგი ფასს უწევდა ყოველივეს, რასაც კი შეეხებოდა, აძლიერებდა შეგირდის შემოქმედებითს გზნებას.

სწორედ გორკიმ, ხაზს უსვამს ლეონიდ ლეონოვი, ლიტერატურული **სამსახურის** იდეა მეცხრამეტე საუკუნიდან გადმოიტანა ჩვენს მეოცე საუკუნეში. შემდეგ აქედან წარმოიშვა გარდაქმნილ სამამულო ეკონომიკაში მწერლის აქტიური ჩარევის მეთოდი, რომელმაც ასეთი როლი შეასრულა მატერიალური სოციალისტური ქმნადობის წლებში. გორკის, რომელიც უდიდესი იყო ამ მწერალთა რიგებში, უმცირესობასთან ერთად ესმოდა, რომ ლიტერატურული მეურნეობის სწორად გაძღოლისათვის, ლიტერატურულ ახალგაზრდობას შორის გამოუსწორებელი დასახიჩრების თავიდან აცილებისათვის, ყოველთვის საჭიროა ხელოვანის შემოქმედებითს კონსტიტუციასთან შეთანხმება.

ორატორი შემდეგ ამბობს, რომ გორკი სათუთად უდგებოდა ახალგაზრდა მწერალთა ინდივიდუალურ თავისებურებებს, რომ გორკი გენიალურად უხამებდა ერთმანეთს მაღალი ხელოვნების მოთხოვნებსა და თავისი ნაწარმოებების საზოგადოებრივ ქმედითობას. ამ ოსტატის შემოქმედებითი ანკეტა წამდაუწუმ უერთდება მისი ბობოქარი საუკუნის ბიოგრაფიას. მცირე ხარვეზების გამოკლებით იგი ემთხვევა რევოლუციის ტრასას, რომლითაც ელვისებური სისწრაფით უახლოვდებოდა თავის ცეცხლოვან მომავალს რუსეთი, დე დრომ მიუკერძოებლად განსაჯოს, ამ ორი ნაკადიდან რომელი უფრო ძლიერი იყო გორკში; ყოველ შემთხვევაში, მე მგონია, რომ სწორედ ორივე ნაკადის ჰარმონიულმა შეხამებამ განსაზღვრა გორკის სახელის აღმაფრენა...

მხოლოდ ოთხმოცდაცამეტ წელს გორკი ხვდება კოროლენკოს და ამის შემდეგ იწყება ჟამნითა და დავითნით ნასწავლისათვის ბუნებრივი შვიდწლიანი ლიტერატურული სინჯები და ცდები, საგაზეთო მუშაობასთან შეხამებული. მაგრამ უცებ მისი ადრეული მოთხრობების ტირაჟი იმ დროისათვის წარმოუდგენელ რიცხვს — ასი ათასს აღწევს, ხოლო ოცდახუთათასიანი — „მდაბიონი“ ორ კვირაში იყიდება. თანამედროვეთა გონებაზე თითქმის უსაზღვრო ბატონობის ამ პირველი განაცხადის კვალდაკვალ ჩნდება კლასიკური პიესა „ფსკერზე“, რომელმაც მსოფლიოს ყველა სცენა შემოიარა და დღესაც იძლევა ანშლაგებს. ოცდათორმეტი წლისა, იგი უკვე რუსული სიტყვიერების საპატიო აკადემიკოსია. ამასთან სკანდალი, რომელიც მოხდა წოდების შემდგომი გაუქმების გამო, მხოლოდ აორკეცებს მის პოპულარობას, მისი განმეორებითი დაპატიმრება ცხრა იანვრის შემდეგ კი იწვევს მთელი ევროპის პროტესტის ქარშხალს.

ოცდათვრამეტი წლისა იყო გორკი, როცა ტრიუმფით გავიდა საზღვარგარეთის ასპარეზზე — შეეცია, დანია, გერმანია, საიდანაც, აქვე უნდა ვთქვათ, საჯარო პოლიტიკურ დემარშს მოუწყობს მეფის მთავრობას... და ბოლოს, ყვითელი ეშმაკის ქვეყანა—ამერიკა, სადაც სამოცდაათი წლის მარკ ტვენი სათავეში ჩაუდგება სახელგანთქმული სტუმრისადმი მიძღვნილი საღამოს მომწყობ კომიტეტს, თუმცა ეს საღამოც არ გამართულა! ო, როგორ სწყურია გამაგრილებელი წვიმა რუსეთისა და მსოფლიოს გვალვიან დამსკდარ მიწას.

თითქმის ყოველ ადამიანს ახასიათებს ხანდაზმულობის ჟამს მწვავე სინანული, რომ ვერ შეძლო და ვერ შექმნა რაღაც უმნიშვნელოვანესი, რაც მისთვის იყო განკუთვნილი, — სინანული მწვავე და მტანჯველი და ამაო იმიტომ რომ მისი მიზეზია ოსტატობის სანუკვარ საიდუმლოებათა დაგვიანებულ დაუფლება; ყველაზე უკეთესად ეს სევდა ტიუტჩევმა გამოხატა. რამდენადაც ჩვენ შეგვეძლო დავკვირვებოდით შორიდან და ქვეყანა, გიგანტთა ეს გულგატეხილობა პორტრეტისა და ორიგინალის მოჩვენებითი არამსგავსება კი არა, არამედ ის ფასეულობაა, რომელსაც სიბერეში შევიცნობთ, ეს არის შეუსაბამობა, რომელიც ჩრდილს აყენებს ქმაყოფილების გრძნობას, თითქოს კეთილსინდისიერად ვასრულებდით ჩვენს მოვალეობასო.

რაც ხანი ემატებოდა, გორკის მრავალგზის — ხან მეგობრისადმი წერილში, ხან ახალგაზრდობის — ლიტერატურის დამკვრელთა თათბირზე და მთელ რიგ საუბრებში გამოუთქვამს განზრახვა, რომელიც არ განუხორციელებია, თავისი წიგნები გაეტარებინა თვითკრიტიკის ცეცხლში, წინასწარ გაეცხრილა ყოველივე, რაც მისი სიკვდილის შემდეგ მკაცრად უნდა გაცხრილოს დრომ. რატომღაც სიცოცხლის შუადღეს ვერაფრით ვერ ფიქრობ დაისზე!.. როცა ტოლსტოი ამბობდა, გოეთს ოცდათხუთმეტი ტომიდან სულ ორსამ ტომს დავტოვებდიო, უნდა ვიფიქროთ, რომ ამავე დროს გულისხმობდა საკუთარ, ოთხმოცდაათტომიან გადატვირთულ აღალს, რომელშიც თითქოსდა შებმულია მისი ძირითადი, მსუბუქი, ფრთაშესხმული ქმნილებანი... ასევე ბუნებრივი იყო, რომ გორკისაც თვალი გადაევლო განვლილი გზისთვის.

მაგრამ თვით გორკისაც რომ შეეძლოს, მოწონავე მეცნიერებათა მტკიცების საწინააღმდეგოდ, **იქედან** გადმოხედოს ჩვენს დღევანდელ საღამოს, ჩვენ უარვყოფდით მის შიშს, რომ საკმაო ყურადღება ვერ დაუთმო მთავარს, რაც მხატვრის ჭეშმარიტი დანიშნულებაა. ჩვენ ვეტყოდით, რომ გენიოსის სინანული განუხორციელებელის გამო პირდაპირ პროპორციულია მისი ნამოღვაწარის ოდენობისა.

ჩვენ ხმამაღლა შევაჯამებდით ყველაფერს, რაც მის შესახებ დაუწერია აღტაცებულ კრიტიკოსს: მისი აფორისტული აზროვნების სიღრმისა და გამჭრიახობის შესახებ, რომელსაც შეუძლია უაღრესად ზუსტი ეპითეტით, ინტონაციით, პაუზითაც კი გადმოსცეს შთაბეჭდილება. მაგრამ უწინარეს ყოვლისა ვახსენებდით დახვეწილ აღწერასა და დახასიათებებს, წყაროსავით ანკარა ენას, რომელიც ხიბლავდა არა მარტო რუსეთის განათლებულ ადამიანებს, არამედ ხალხის მასასაც, რომლისთვისაც ძირითადად ცდილობდა ეწერა. თანატოლთა და თანამოკალმეთა აღტაცების გარდა (ბევრი მათგანი მხოლოდ იმიტომ არ არის დაჩაგწყებული, რომ მოასწრეს და დარჩნენ გორკის შესახებ კომენტარებში) ჩვენ გავიხსენებდით მისი თანამედროვე დასავლელი კორიფეების — როლანისა და უელსის, ჰამსუნისა და ცვაიგის პატივისცემით აღსავსე გამონათქვამებს... ამიტომ არის, რომ იუბილარის დიდება იმ დაფნის ფოთლის რაოდენობით კი არ გაიზომება, რომელსაც სიკვდილის შემდეგ მის საფლავს აყრიან, არამედ იმ ღირსშესანიშნავი ფაქტით, რომ მოიგება თაობის ამდენი თანამემამულე მოვიდა აქ მისი დაბადების ასი წლისთავზე, რათა ჯეროვნად ეცათ პატივი გორკის ხსოვნისათვის და კიდევ ერთხელ ეგრძნოთ ამ ბრწყინვალე სახელის სურნელი.

შემდეგ ორატორმა დაახასიათა იმ დადებითი და უარყოფითი მაგალითების აღმზრდელობითი როლი, რომლებსაც ლიტერატურული ნაწარმოებები შეიცავენ, დამსწრეთ გაუზიარა თავისი ფიქრები გასული საუკუნის რუსული ლიტერატურის შესახებ.

მთელმა მსოფლიომ, თქვა ორატორმა, მდაბალად უნდა დაუკრას თავი ჩვენს ლიტერატურას, რომელმაც გორკიმდე საუკუნენახევრით ადრე განვლო უძნელესი გზა. შეხედეთ: ...რუსი პოეტი და ელოკვენციის პროფესორი ვასილ ტრედიაკოვსკი მოწყალე დედოფალს მიართმევს ღამით ნაცოდვილარ სილაბიკურ თხზულებას. ო, მხოლოდ ოთხ ფეხზე — მოელი გზა კარიდან ტახტამდე, ავბედითი მაგრამ ტრედიაკოვსკის სიკვდილიდან ოცდაერთი წლის შემდეგ მორიგი დედოფლის დროს, სხვა რუსი ლიტერატორი ალექსანდრე რადიშჩევი საჯაროდ გამოიტანს ყმა ხალხის გაჭირვებულ ცხოვრებას, ხოლო მისი მოქალაქეობრივი სიკვდილიდან ცხრა წლის შემდეგ იქვე დაიბადება დიდი პოეტი, რომელიც ლიტერატურულ შთამომავლებს დაუტოვებს ანდერძს. მე ვგულისხმობ, ჩემი აზრით, მთელი მეცხრამეტე საუკუნის უდიდეს ლექსს, რომლის ავტორია ალექსანდრე პუშკინი. აღელვებულად ეხმაურება ამ ლექსს საბედისწერო ორთაბრძოლის წინა დღეებში ლერმონტოვი, ეს ლექსი უყვარს ტოლსტოი და როგორც კი შემთხვევა მიეცემა, მას კითხულობს დოსტოევსკი. ეს ნაწარმოები, რომელიც გვაგრძნობინებს მტკიცე გადაწყვეტილებას, რაღაც უნდა დაუჯდეს, მოიხადოს ვალი ადამიანთა წინაშე, იმითაც საოცარია, რომ იგი დაწერა ოცდაექვსი წლის კაცმა.

ეს ლექსია **„წინასწარმეტყველი“**, რაც პოეტის ლათინური ანალოგია. ლექსში თანმიმდევრულად მოცემულია პოეტური ზიარების მწვავე პროცედურა. გამორიცხული არ არის, რომ მომავალმა ლიტერატურულმა დიდებამ გაუელვა ალექსი პუშკოვს თვალწინ, როცა ეს ლექსი წაიკითხა. იქნებ ტკივილით წამოიყვირა კიდევაც მეთხუთმეტე სტრიქონზე, სადაც ნათქვამია:

...ბაგეს მიეკრა იგი, ძლიერი
და ამომგლიჯა მან მე ცბიერი,
უქმად მეტყველი, ცოდვილი ენა,
და საქენჯნელი ბრძენი გველისა,
ენა შთამიდგა, ნაცვლად ძველისა.

სიტყვის დასასრულ ლეონიდ ლეონოვმა თქვა:

— ოდესმე კიდევ დადგება, უკვე უჩვენოდ, მორიგ საუკუნეში, ზუსტად ასეთივე სარამო. სხვები, რომლებიც ჯერ არ დაბადებულან, დაიკავებენ თქვენს ადგილებს ამ დარბაზში, მაგრამ რაც უნდა კარგი იყოს მათი დრო, შეუძლებელია, რომ ზოგჯერ არ მოგვიგონონ ჩვენ, რომლებმაც მათ, ხვალინდელებს, შევწირეთ ამდენი სიცოცხლე, ამდენი შთაგონება: შევწირეთ ჩვენი თავი! ზედმეტად თავს ნუ დავიიმედებთ: საკუთარი გამოცდილებით ვიცით, თუ რამდენად არ არის საკადებულო შთამომავალთათვის პაპათა კერპები და მიდრეკილებანი. მაგრამ ყოველთვის, როცა თვალს გადაავლებენ ჩვენს საუკუნეს, მისი დიადი ბრძოლების თითქმის ჩამქრალ ხანძარს, ეპოქალურ კოკონებს აოთქმული ქვეყნისაკენ მიმავალ გზაზე, ისინი აღმოდებული ცის ფონზე სხვა გოლიათურ აჩრდილებს შორის გაარჩევენ მაქსიმ გორკის დამახასიათებელ ოდნავ მოხრილ ფიგურას... განუმეორებელი, ოდნავ ირონიული ღიმილით იგი თვალს გააყოლებს თაობებს, რომლებიც მიდიან სულ უფრო წინ, სულ უფრო შორს, თაობებს, რომლებიც ესოდენ სწამდა ამ ტრიბუნს, პოეტს, მეამბოხეს, ადამიანთა მამასა და დამრიგებელს.

დარბაზში შეკრებილნი ტაშით აჯილდოებენ გორკისადმი მიძღვნილ სიტყვის ავტორს. და აი უკვე ახალი გამოსვლები, ახალი ამაღელვებელი სიტყვები რევოლუციის მაცნეზე ჟაისმის კრემლის ყრილობათა სასახლის თაღებქვეშ.

სიტყვა ეძლევა **ლეონიდ სობოლევს:**

— ადამიანი, რომელიც კლასობრივი, კასტური, მეშჩანური და კერძო მესაკუთრული საზოგადოების პირობებში, თვითმპყრობელობის უმკაცრეს ვითარებაში გამოვიდა ხალხის წიაღიდან და საყოველთაო სახალხო და მსოფლიო აღიარება მოიპოვა. ლიტერატორის გიგანტური თავისთავადი ნიჭი, საოცარი უნარი ადამიანთა სულსა და გონებაში ჩაწვდომისა და — ამავე დროს — ასეთივე საოცარი ენერგიული უნარი ორგანიზატორის შემოქმედებითი მოქმედებისა...

აი რა იყო ალექსი მაქსიმეს-ძე გორკი.

ორატორი აღნიშნავს, რომ ა. მ. გორკიმ მრავალი საფუძვლები ჩაუყარა ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს მომავალ კულტურულ ძლიერებას, იყო სსრ კავშირის მწერალთა კავშირის სულისჩამდგმელი და დამაარსებელი, პირველმა ამცნო სამყაროს ის, რითაც საბჭოთა ლიტერატურა განსხვავდება წარსულისა და თანამედროვეობის ყველა ლიტერატურისაგან: გააცნო მისი მრავალერიანობა, მისი ინტერნაციონალური ძლიერება, ტრადიციებისა, ფორმებისა და ენების მრავალფეროვნება, ამასთანავე მთავარი იდეის ერთიანობა.

და მანვე განსჯვრიტა, როგორ შეარყევდა ჩვენს ძველ დედამიწას ფაშიზმის მხეცური ფილოსოფია და პლანეტის კულტურულ ელიტას მისცა პირდაპირი და პატიოსანი შეკითხვა: „ვისთან ხართ თქვენ, კულტურის ოსტატებო?“

ლ. სობოლევმა თქვა, რომ განხორციელდა გორკის ოცნება საბჭოთა წოდებიდან, ხალხთა მეგობრობა, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ კაპიტალისტურ სამყაროში რა სობრივი სხვაობა ჯერ კიდევ შეურაცხყოფს ადამიანის ღირსებას. პლანეტაზე კვლავ არსებობენ დისკრიმინირებული ერები და ტომები, არიული ფაშიზმის წყეული ნაჩრენები — სუფთა და ჭუჭყიანი რასები. წარმოებს ძალადური ომები. საბერძნეთის სამხედრო მმართველები საყურობილეებში ყრიან მუშებსაც, გლეხებსაც, ინტელიგენციასაც. ისრაელი აგრესორები კვლავ ხოცავენ არაბებს.

საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოთა ხალხები, თქვა დასასრულ ლეონიდ სობოლევმა, მტკიცედ დგანან ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის სადარაჯოზე, თავისუფლებისა და პროგრესის სადარაჯოზე. ამაზე ოცნებობდა, ამისთვის იბრძოდა ალექსი მაქსიმეს ძე გორკი, — დაე მარად წმინდა იყოს მისი სახელი ყველასთვის, ვისაც აქვს საპატიო უფლება ადამიანი უწოდოს თავის თავს!

ტრიბუნაზეა **მიკოლა ბაჟანი.**

—განუყრელად, განუყოფლად მთელი თავისი მძლავრი სულით არის შერწყმული დიდი მწერალი თავის დიდ ხალხთან, — ასე დაიწყო მან თავისი სიტყვა.

გორკი, რომელიც ხარბად ეწაფებოდა ცხოვრებას, მთელ მის მრავალფეროვნებას, მთელ მის დაუშრეტელ სიახლეს, განსაკუთრებით ყურადღებით, ღრმად და მომთხოვნელობით აკვირდებოდა მშობლიური რუსეთის ცხოვრებას. იგი წერდა: ...„მე ვხედავ რუს ხალხს... უაღრესად, ფანტასტურად ნიჭიერს, თავისებურს...“ და წინასწარმეტყველებდა, რომ „ეს საოცარი ხალხი“ იცხოვრებს ზღაპრულად გმირული ცხოვრებით და ბევრს ასწავლის ამ დაღლილ, დანაშაულისაგან შეშლილ მსოფლიოს.

უკრაინელთათვის, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა, გორკის სახელი მშობლიური სახელია, მისი სიტყვა — მშობლიური სიტყვა. თავისი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის პირველი დღეებიდანვე გორკი დაკავშირებული იყო უკრაინასთან, წერდა მის შესახებ, მისი ადამიანების შესახებ, იცავდა მათს სოციალურ და ეროვნულ უფლებებს, იბრძოდა მათი კულტურის, ენის, ლიტერატურის თავისუფლებისათვის.

გორკი არა მარტო ჩვენი სიამაყე და ძლიერება, ჩვენი საყრდენიაა. გორკი ეკუთვნის მთელ მოწინავე კაცობრიობას, მაგრამ იგი უწინარეს ყოვლისა რუსეთის დიდი შვილია, იგი უწინარეს ყოვლისა ჩვენი სამშობლოს შვილია, იგი უწინარეს ყოვლისა ჩვენთვის, საბჭოთა ხალხების შვილებისათვის არის ახლობელი და ძვირფასი.

— ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ჩვენმა ქალაქმა მისცა მსოფლიოს უდიდესი პროლეტარული მწერალი, — თქვა გორკის ქარხანა „კრასნოე სორმოვოს“ ელექტროშემდუღებელთა ბრიგადირმა **ვიაჩესლავ პაიშჩიკოვმა.** — ჩვენს მიწაზე აიდგა ფეხი ალიოშა პეშკოვმა, იქ გაატარა უსიხარულო ბავშვობა, განიცადა დამცირება, როცა იძულებული იყო საშოვარზე ევლო.

მე, სორმოველს, განსაკუთრებით მახარებს, რომ ალექსი მაქსიმეს ძე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჩვენი ქარხნის მუშებთან, რომ მათი რევოლუციური ბრძოლა აისახა უკვდავ მოთხრობაში „დედა“.

1928 წლის ზაფხულში გორკი გამოვიდა სორმოველთა მიტინგზე და აღტაცებით ილაპარაკა ჩვენი შრომითი წარმატებების სიდიადეზე. მან თქვა, რომ ჩვენი პარტია ბრძენია, რომ ის არის ჩვენი ტვინი, ჩვენი ძალა, ჩვენი ერთადერთი ნამდვილი ბელადი.

ახლა ალექსი მაქსიმეს-ძის მშობლიური ქალაქი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უდიდესი სამრეწველო და კულტურული ცენტრია.

ჩვენ, სორმოველები, ვამაყობთ ჩვენი ქარხნის რევოლუციური წარსულით, ვამაყობთ მისი შრომითი დიდებით, ვამრავლებთ მას.

გამოდის **ნიკოლოზ ტიხონოვი:**

ახლა, როცა საბჭოთა კავშირი კაცობრიობის მთელ პროგრესულ ძალებს, მსოფლიოს ყველა პატიოსან ადამიანს აერთიანებს მშვიდობისა და დემოკრატიისათვის, უგუნური იმპერიალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში, ამბობს იგი, მაქსიმ გორკის მგზნებარე სიტყვა კვლავ მძლავრად ჟღერს, რისხვასავით თავს ატყდება მსოფლიო ბატონობის ახალ პრეტენდენტებს!

ასრულებენ რა გორკის ანდერძს, საბჭოთა ადამიანები დაუცხრომლად იბრძვიან იმ ჰუმანიზმის დროშით, რომელიც მან თავის დროზე აღმართა და მტკიცედ გაატარა მთელ თავის ცხოვრებაში.

მაქსიმ გორკი იყო კაცობრიობის სახელოვანი მომავლის მაუწყებელი, მომავალ რევოლუციურ ქარიშხალთა პიეტი, პიეტი, რომელმაც უმღერა მსოფლიოში ახალი ადამიანის, სოციალისტური სამყაროს მშენებლის მოსვლას.

გორკის შემოქმედებით გამოცდილებას, გორკის ტრადიციებს, როგორც საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების ფუძემდებელ პრინციპებს უძღვნის სიტყვას ჩინგიზ აიტმატოვი.

თანამედროვე პროფესიული ლიტერატურების წარმოშობა შუა აზიასა და ყაზახეთში, აღნიშნავს **ჩინგიზ აიტმატოვი,** იყო უჩვეულო კულტურული და სოციალური პროგრესის აქტი. და ეს ბედნიერება იყო ჩვენთვის, რომ ჩვენი პირველი მწერლები, რომლებსაც ხალხთა ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები უნდა შეეცნოთ არა მარტო პოლიტიკურად, არამედ მხატვრულად, შემოქმედების გზის დასაწყისშივე შეხვდნენ გორკის.

—ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა თეატრსა და საზღვარგარეთ, — თქვა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა **ალა კონსტანტინეს ასულმა ტარასოვამ,** — იდგმება გორკის პიესები. როგორ გვინდა, რომ ჩვენი ქვეყნის თეატრების სცენებზე ყოველთვის იდგმებოდეს ეს პიესები! ამ პიესებს უნდა იცნობდეს და უნდა ნახოს ყველა თაობამ, რომლებიც ერთმანეთს ცვლიან.

სიტყვას ამბობს **ყაისინ ყულიევი.**

ორატორი ამბობს, რომ გორკის უყვარდა კავკასია და ესმოდა მისი. კავკასიაში, რომელსაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დიდი რუსი პოეტებისათვის, დაიბეჭდა გორკის პირველი მოთხრობა. იგი სიკვდილამდე თვალს ადევნებდა კავკასიელ ხალხთა ლიტერატურის ზრდას, ხარობდა კავკასიელი მწერლების წარმატებებით.

ალექსი სურკოვმა, რომელიც კრემლის ყრილობათა სასახლის ტრიბუნაზე გამოვიდა, აღნიშნა, რომ მაქსიმ გორკიმ უდიდესი როლი შეასრულა მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის ჩამოყალიბებაში, რომ სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მას არ განელებია მხურვალე ინტერესი თითოეული ახალი წიგნისადმი, თითოეული ახალი ხელნაწერისადმი, ლიტერატურაში ყოველი ახალი სახელისადმი.

გულუხვმა ადამიანმა, რომელსაც უანგაროდ სწამდა ხალხისა და მათი მომავლისა, მემკვიდრეობად დაგვიტოვა ჩვენ და ლიტერატურაში მომავალ ახალგაზრდობას, თავისი შესანიშნავი თვისება — სიხარულით მოჰკიდებოდა ყოველივე ახალსა და ნათელს, ჰყვარებოდა ლიტერატურა და სიხარულით აღექვა მისი ზრდა, რადგან მტკიცედ სწამდა, რომ „ჩვენი რუსეთი ყველაზე მხიარული წერტილია ქვეყნიერებაზე“.

სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრი პაკისტანელი პოეტი **ფაიზ ა‌ჰმად ფაიზი,** ბულგარეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე **გიორგი ჯაგაროვი.**

(საკდესი).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ შექმნეს მთავრობის კომისია სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის, საბჭოთა კავშირის გმირის, პოლკოვნიკ ი. ა. გაგარინისა და საბჭოთა კავშირის გმირის, ინჟინერ-პოლკოვნიკ ვ. ს. სერიოგინის დაღუპვის გარემოებათა გამოსარკვევად.

სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის, საბჭოთა კავშირის გმირის პოლკოვნიკ ი. ა. გაგარინისა და საბჭოთა კავშირის გმირის ინჟინერ-პოლკოვნიკ ვ. ს. სერიოგინის დაღუპვის გარემოებათა გამომრკვევი მთავრობის კომისიისაგან

27 მარტს დღისით სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი პოლკოვნიკი ი. ა. გაგარინი ინსტრუქტორთან, პირველი კლასის გამომცდელ მფრინავ ვ. ს. სერიოგინთან ერთად მორიგი დავალების შესასრულებლად გაფრინდა მოსკოვი — ახლო აეროდრომიდან ორადგილიანი რეაქტიული სასწავლო-საწვრთნელი თვითმფრინავით პილოტირების ტექნიკის დასახვწად.

ფრენის ზონაში სასწავლო დავალების დამთავრების შემდეგ, თავის აეროდრომზე დაბრუნებისას თვითმფრინავმა კატასტროფა განიცადა ვლადიმირის ოლქის კირჟაჩსკის რაიონის სოფელ ნოვოსელკოვოს მახლობლად. კატასტროფის შედეგად დაიღუპნენ სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი პოლკოვნიკი ი. ა. გაგარინი და ინჟინერ-პოლკოვნიკი ვ. ს. სერიოგინი.

კატასტროფის მიზეზებს ადგილზე არკვევს მთავრობის კომისია ავიაციის თვალსაჩინო სპეციალისტების მონაწილეობით.

სამგლოვიარო მიტინგი

კოსმონავტის მშობლიურ სოფელში

გზატსკი (სმოლენსკის ოლქი), 28 მარტი. (საკდესის კორ.). ვარსკვლავეთის გზების პირველაღმომჩენის ტრაგიკულმა სიკვდილმა მის თანასოფლელთა — გუატსკის რაიონის სოფელ კლუშინოს მცხოვრებთა დიდი გულისტკივილი გამოიწვია. დღეს საღამოს კულტურის სახლის წინ, მოედანზე ვაიმართა ი. ა. გაგარინის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მიწათმოქმედთა და ინტელიგენციის მიტინგი.

ტრიბუნაზეა ტრაქტორისტი ი. ზერნოვი, რომელიც იური ალექსის ძესთან ერთად სწავლობდა სკოლაში:

— ძნელი დასაჯერებელია, რომ აღარ არის ჩვენი იურა, რომლითაც ასე ვამაყობდით. მთელი მსოფლიო მას იცნობს, როგორც კოსმონავტ № 1. ჩვენ მას ბავშვობიდანვე ვიცნობთ როგორც გულისხმიერ ამხანაგს და მეგობარს. ამ სიმწრის ჟამს მხოლოდ ის გვანუგეშებს, რომ იური ალექსის ძე გაგარინის გმირობამ სახელი მოუხვეჭა ჩვენს სამშობლოს. დიახ, ეს იყო ამაყი შევარდენი და დიდი პატიროტი.

მიტინგზე გამოსულმა ორატორებმა დიდი სამძიმარი გამოუცხადეს კოსმონავტის დედ-მამას — ანა ტიმოფეს ასულ და ალექსი ივანეს ძე გაგარინებს.

ღრმა მწუხარების გრძნობით

ბუდაპეშტი. დიდი მწუხარების გრძნობით შეხვდნენ უნგრელი მშრომელები ცნობას ი. ა. გაგარინისა და ვ. ს. სერიოგინის ტრაგიკულად დაღუპვის შესახებ.

ცნობამ მსოფლიოში კოსმოსის პირველი დამპყრობის უდროოდ დაღუპვის შესახებ შემაძრწუნა მე და ყველა ჩემი ამხანაგი, უთხრა საკდესის კორესპონდენტს სახელმწიფო კრების ერთ-ერთმა უხუცესმა დეპუტატმა იგნაც პიოკერმა. ჩვენი ქვეყნის მშრომელებს ეარგად ახსოვდ კოსმოსის გმირთან შეხვედრები. გვახსოვს მისი მომხიბვლელობა და თავმდაბლობა, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ მსოფლიოში თითქმის არ ყოფილ ისეთი ადამიანი, რომელიც ყველგან ასეთი პოპულარობითა და ჟოლწრფელი სიმპათიებით სარგებლობდა, როგორც იური გაგარინი.

ბერლინი. ადნის სააგენტომ გადაცა ცნობა, რომელშიც დაწვრილებით ასახავს საბჭოთა კოსმონავტის ცხოვრების გზას. ცნობაში ხაზგასმულია, რომ კოსმოსურ სივრცეში თავისი პირველი გაფრენის შემდეგ იური გაგარ

საერთაშორისო ცხოვრება

მსოფლიოს დოკუმენტთა საგენტოები გვაცნობებენ

მსოფლიოს საზოგადოებრიობა ბრალს სდებს

ძლიერდება ანტიამერიკული განწყობილება

ჟელსინკი. გაზეთი „პიკანიან სანომატი“ მოუწოდებს, რომ გაძლიერდეს საერთაშორისო ზეგავლენა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობაზე, რათა აიძულონ შეწყვიტოს ვიეტნამის ომი. გაზეთი მოითხოვს, რომ ფინეთში მოიწვიონ ჩრდილოეთის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი ვიეტნამის საკითხის განსახილველად.

ბრიუსელი. „ბელგიის ინტელიგენცია მოითხოვს, რომ ბელგიის მთავრობამ ოფიციალურად დაგმოს ამერიკის სავიეტნამო პოლიტიკა“ — ამ მოთხოვნას შეიცავს კულტურის მოღვაწეთა ღია წერილი პოლიტიკურ პარტიათა ხელმძღვანელებისადმი, რომელიც გამოქვეყნდა ბელგიის კომუნისტური პარტიის საინფორმაციო ბიულეტენში. ბიულეტენმა გამოაქვეყნა ბელგიის კომპარტიის თავმჯდომარის პასუხი ბელგიის ინტელიგენციის მოწოდებაზე. ბელგიის კომპარტიის თავმჯდომარე ბელგიის კომუნისტთა სახელით აცხადებს, რომ სავსებით უჭერს მხარს და სოლიდარულია ვიეტნამელი ხალხის სამართლიან საქმესთან.

ნიუ-იორკი. გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ კოპენჰაგენიდან მიღებულ კორესპონდენციაში აღნიშნავს, რომ ვიეტნამის ომთან დაკავშირებით საანდინავიაში ძლიერდება ანტიამერიკული განწყობილება. ამერიკელი ისე ვერ გამოჩნდება ნორვეგიაში, დანიასა თუ შვეიცარიაში, რომ არ გაიგონოს კრიტიკული სიტყვა ამერიკის შეერთებულ შტატებზე ვიეტნამის ომის გამო. „შეიქმნა საფრთხე, რომ მთელი თაობა განეწყობა ამერიკის წინააღმდეგ ვიეტნამის ომის გამო“, — განუცხადა ამ გაზეთის კორესპონდენტს სტოკჰოლმში მომუშავე ამერიკელმა დიპლომატმა.

ჰავანა. „იანკებო გაეთრიეთ ვიეტნამიდან!“, „დაუყოვნებლივ შეწყვიტეთ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების ბარბაროსული დაბომბვა!“—ასეთი ლოზუნგებით გაიმართა მიტინგი მექსიკის დედაქალაქში, რომელიც მოაწყვეს უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებმა, გვატყობინებს პრესა ლატინას საგენტოს მეხიკელი კორესპონდენტი.

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო მოღვაწემ, ილინოისის შტატის გენერალურმა პროკურორმა უ. კლარკმა გამოთქვა „სერიოზული შეშფოთება“ იმ კურსის გამო, რომელსაც ვაშინგტონი ახორციელებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, და მისი გადასინჯვა მოითხოვა. მან განაცხადა, ასევეთვე აზრის არიან პოლიტიკური მოღვაწენი და ვიეტნამის ომის მონაწილენი, რომლებსაც ვესაუბრეთ.

სენატორმა რობერტ კენედიმ კვლავ მოითხოვა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვის შეწყვეტა, რათა შეიქმნას შესაძლებლობა მოლაპარაკებისათვის ვიეტნამის ომის შეწყვეტის შესახებ. ვაშინგტონის შტატის უნივერსიტეტის სტუდენტები, რომელთა წინაშე გამოვიდა სენატორი, ამ განცხადებას მჭუხარე ტაშით შეხვდნენ. კენედიმ განაცხადა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა ცნოს სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის უფლება „სრული მონაწილეობა მიიღოს“ სამხრეთ ვიეტნამის პოლიტიკურ ცხოვრებაშიო. (საკდესი).

ბელგიის ლენტიდან

● მექსიკა

საბჭოთა მსახიობთა წარმატება

